№ 34
კვირა, 13 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

ივერია

№ 34
კვირა, 13 თებერვალი, 1900 წ.

ფასი ფურცلისა 5 კაპ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲜᲐ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲒᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ᲘᲕᲐᲜᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲔᲑᲘ, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და ᲓᲐᲠᲘᲐ და ᲡᲐᲛᲘᲡᲝᲜ ᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘᲛᲔᲜᲘ
გულითადს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებასა პირველი საყვარელის ცოლისა, მეორენი რძლისა, მესამე ქალი შვილისა და მეოთხენი დისა და ცოლისძმისა

ოლგა გრიგოლის ასულის ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲡ

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გასვენებაზედ დასასწრებლად ორშაბათს, 14 თებერვალს, დილის ცხრა საათზედ, ახალ არსენალის ქუჩაზედ, საკუთარ სახლში, № 17, საიდგანაც მიცვალებულს გაასვენებენ კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში წირვისა და პანაშვიდის გარდასახდელად. პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზედ იქმნება. (1—47—1)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირას, 13 თებერვალს 1900 წ.

ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ
ᲥᲐᲚᲑ. ᲢᲐᲡᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, ქალბ. მ. სოფრო-აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

ᲐᲚᲘᲐᲥᲝᲗᲘᲐ ᲒᲔᲗᲘᲚᲨᲔᲑᲘᲚ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ

სამ-მოქმედებიანი კომედია.

II

ᲪᲔᲚᲞᲔᲑᲘ

ვოდევილი ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲗ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ᲐᲓᲒᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲩᲕᲣᲚᲑᲠᲘᲕᲘᲐ. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ და Ჯ. ᲛᲔᲡᲮᲘ.

ოთხშაბათს, 16 თებერვალს, დანიშნულია ბენეფისი ქალბ. ა. მ. კარეგარელისა.

ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲚᲝ აუწყებს ამა მაზრის თავად-აზნაურთა, რომ ამა 1900 წლის 15 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ტფილისს გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს სდგომაში, სასახლის ქუჩაზედ, დანიშნულია კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობისა და სთხოვს იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც უფლება აქვთ ამ კრებაზედ და წრებისა, კრების დაწყებამდე დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში წარმოადგინონ ამ უფლებათა საბუთნი, რათა სიაში იქმნან ჩაწერილნი და ნება მიეცეთ საქმეთა გარდაწყვეტასა და არჩევნებში მონაწილეობა მიღებისა.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. გ. აფხაზი (3—ნ.—3)

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ

გამგეობა პატივისცემით აუწყებს ბანკის წევრთა მობრძანდნენ წლიურ მორიგ კრებაზედ, რომელიც დანიშნულია კვირას, 12 მარტს, დილის ათ საათზედ, ბანკის სდგომშივე სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში.

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიში 1899 წ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. საბჭოს მოხსენებანი.
4. 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა
5. არჩევნები ერთის გამგეობის წევრისა და ორის დეპუტატის, დირექტორის ვ. რ. ყიფიანის, ნ. თ. ხიზანაშვილისა და ო. ი. გ. ბარათაშვილის მაგივრად, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ, და აგრეთვე სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა. (2—ნ.—1)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ

მიიღებს კაბებს შესაკერად.

აქვე მიიღებენ შეკერილებს: ᲓᲐᲠᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ მუქთად, სოდო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადახადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ᲭᲐ-კერვის კურსებზედ.

ᲡᲐᲕᲘᲠᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘᲡ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲬᲘᲡ ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

სამკერვალო შეკვეთილ საქმეს პირიანად და დროზედ ასრულებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 12.

ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის

„ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ“

გამგეობა ამითი აუწყებს ამა ამხანაგობის წევრთ, რომ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

ამხანაგობის წევრთა შესდგება ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ამხანაგობის სდგომში წარსულის 1899 წლის ანგარიშისა, სარევიზიო კომისიის მოხსენებისა და სხვა საქმეთა განსახილველად. (5—ნ.—1)

რადგან 6 თებერვალს

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲣᲚᲝ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ

„ᲝᲣᲐᲛᲐᲕᲚᲘᲡ“

წარმომადგენელთა წლიური კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, ამიტომ განმეორებითი კრება დანიშნა 18 თებერვალსათვის, შუადღის პირველ საათზედ ქ. ოზურგეთში. კრება განიხილავს იმავე საგნებს, რაც პირველი კრებისათვის იყო დანიშნული და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(3—ნ.—2) მმართველი ს. ჭკადუა

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲒᲣᲚᲘᲔᲕᲘᲡ

ᲗᲐᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ, რომელიც ამ ქალად დახურული ბაზარშია, 1 თებერვლიდგან გადადის შადინოვის ქარავსლაში ძმ. მილოვების პირდაპირ. (5—252.—5)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილამობით:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲯᲕᲚᲘ ავადმყოფოებანი.

Ძ. Მ. ᲩᲘᲙᲝᲯᲘᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲚᲘᲐᲜᲪᲘ—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

Ი. Შ. ᲞᲠᲝᲢᲐᲡᲔᲜᲘᲩᲘ. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

Ა. Ჯ. ᲙᲐᲠᲐᲯᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

Ა. Ზ. ᲒᲣᲠᲐᲛ. 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

Ა. Ნ. ᲨᲐᲮᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპეიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

Amicus Plato, sed magis amica veritas[1])

კილო წერისა (სტილი) მწერალის გულისა და სულის გამომხატველია. როგორც ხშირად ერთი მწერალი არ წაგავს მეორეს თვისის აზრ-შეხედულობით, რწმენით, თვით რწმენის სიტკიცით, ისე სტილი მწერალთა (ფორმა ენისა, გამოხატულებისა) სხვა-და-სხვათაა. ამისი მიზეზი ის არის, რომ მწერალთა სულიერ ცხოვრების ვითარება სხვა-და-სხვა ნაირია. ერთში მეტია, მეორეში ნაკლები წარმოდგენათა სიცხოველე, ფანტაზიის ძალა, შეგნებული პრიალობა, მეტი ან ნაკლებია აზრთა რაოდენობა, შემოქმედებითი ძალა, მაგრამ თვით შემოქმედებას-კი უპირველესი ალაგი უჭირავს. ეს ძალა შეკრებილი მასალის სულის ჩამდგმელია, პლასტიური ძალა (plastique), ამისათვის შემოქმედებითი პროცესი უფრო მაღალ-ბუნებოვან ადამიანთა კუთვნილებაა. ეს არის მიზეზი, რომ მრავალნი ფილოსოფოსნი (პლატონი), პოეტნი (გეტე, პუშკინი), ფილოსოფოსს, პოეტს თითქმის სხვა ადამიანებად სთვლიდნენ, იმ გვარ ადამიანებად, ოლონდ-კი უფრო შორს იცქირებიან ზეცის სივრცეში, დედამიწის გულშიაც ყველაფერს ჰხედავენ, იმითაც ტკბილად ჰმუსიფობენ ზღვის ტალღანი, ჰაერი, საიდუმლოებით გარემოცული ტყე, ღამის წყვდიადი. ასეთის შეხედულობის მიზეზი ის არის, რომ ამ გვარ ადამიანების სულიერი ცხოვრება მარილა დიდად განსხვავებულია; მათში ძლიერია სურათებით აზროვნება, რადგან მეხსიერება, წარმოდგენათა სიცხოველე და მათი ასოციაცია, ოცნების ძალა მეტად ცხოველი და ძლიერი აქვთ. მხოლოდ პოეტები უფრო სურათებით აზროვნობენ, ფილოსოფოსნი და კრიტიკოსნი-კი განყენებულს აზროვნობას ეტანებიან; პირველნი უფრო გრძნობას აჰყოლიან, მეორენი-კი გონებას თუმცა ორივე გრძნობაცა და გონებაც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ომითთვის. გრძნობის მომეტებული გამოხატვა უფრო გარეგანს სიმშვენიერეს გამოიწვევს, თვით აზროვნობა კი შინაარსის გამშვენიერებას შეიცავს და თხზულებამ რომ მეტი გამოხატულება მიიღოს, საპატიო ალაგი უნდა ჰქონდეს დათმობილი გრძნობასაც.

აქედგან ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის ის დასკვნა, რომ ყოველს მწერლობითს მოქმედებას თან უნდა ახლდეს ეს ორი თვისება გონებრივის ცხოვრებისა, გრძნობა და აზროვნობა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რომელიმე ამ თვისებათაგანი გადაჭარბებულია.

რა ხდება ადამიანში წერის დროს? ჯერ უნდა ვთქვათ, რომ თვით პროცესსი წერისა ბევრად ჰგავს სიზმარს. ამისათვის ამბობენ, რომ შეიძლება შეუგნებლად შემოქმედობა, ესე იგი, ისეთი შემოქმედობა, რომელშიაც შეგნება შესამჩნევად არ იღებს მონაწილეობას. როგორც სიზმარში ადამიანის ნება სრულიად მისუსტებულია და ტვინში ხდება შეუგნებლად გადაბრუნებულ წარმოდგენათა მოძრაობა, იმ წარმოდგენათა, რომელიც შედგება შეგნებულის ცხოვრებისა,—ისე წერის დროს ერთხელვე აღგზნებულს სურვილს გამოუწვევია განხორციელება მრავალ წარმოდგენათა, რომელთაც კავშირი აქვს ამ სურვილთან, ოღონდ წარმოდგენანი როდი არიან გადაბრუნებულნი, როგორც სიზმარში, მაგრამ სიზმარიც არის და სიზმარიც. რაც უნდა გადაბრუნებულ წარმოდგენათა მოძრაობა იყოს ატეხილი ძილის დროს, კაფრის სიზმარი უფრო განსხვავებულია, ვიდრე ევროპიელისა და ჩვეულებრივი ევროპიელის სიზმარი სხვაობს გლადსტონისა, ედისონისა და სხვების სიზმრისაგან; ისე როგორც ღრმა ჰიპნოტიზმის, ან ბანგის დროს კარგად აღინიშნება ხოლმე დაძინებულის ადამიანის ხასიათი, აღზრდა, ზნეობის სიმტკიცე, ჰიპნოზმის დროს ვეფავითარი შთაგონება ვერ დაატანს ძალას ჩაიდინოს შთაგონებულმა რაიმე საზიზღარი საქციელი და თუ შთაგონებამ დასძლია ადამიანი, ეს დიდს ტანჯვას აგრძნობინებს შთაგონებულს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ჰიპნოზმი იმ ადამიანების განხილვა, მეტადრე ქალებისა, რომელთა აღზრდა, ბუნება ფრიად სპეტაკია.

ასეა თითქმის წერის დროსაც. გონება თუ შეგნებულად, აქტიურად ჰმუშაობს, ეს შეგნებული მუშაობა აუცილებლად საჭიროა დასაწყისში, როდესაც თან და თან იკრიბება მასალა და ამ მასალის დედა-აზრი იბადება. თვით ამ დედა-აზრის განხორციელების დროს, წერის ჟამს შეგნებითი მოქმედება უფრო დაფარულია, რადგან მან თავისი მოვალეობა შეასრულა, შეგროვა საჭირო მასალა, გაიცხოველა და აღბეჭდა ტვინში. ამ ნაირად სწერენ მომეტებულად პოეტები, რომანისტები, ასევე სწერენ ფილოსოფოს-კრიტიკოსნი და პუბლიცისტნი, მაგრამ ამათ შორის უფრო იჩენს ხოლმე თავს შეგნებითი მოქმედება, რომელიც ხშირად ტენდენციას იწვევს და აღინიშნება რომელისამე აზრის უფრო ნიშაში ამოღებით, მეტის სიყვარულითა და მიკერძებით.

ამ მოსაზრების გამო პირველ შემთხვევაში უფრო ნაკლებად ჭნახავთ მწერალის სულთა სწრაფვას, ტენდენციას; იქ ყოველი უნდა იხატებოდეს ისე, როგორადაც შეეძლო წარმოედგინა მწერალს ცხოვრება. მეორე შემთხვევაში თუმცა ერთხელვე ნაფიქრს ძალ-დაუტანებლად ჰქმნის მწერალი, მაგრამ აქ შეგნებითი მოქმედება მაინც უფრო თვალ-საჩინოა, თუნდა იმითი, რომ ფორმა, გამოხატვა აზრისა უფრო გარკვეული და შეზღუდულია. ცხადად ჩანს რომელიმე დედა-აზრი, ან თუნდაც გონიერი ტენდენცია, რომელიც თავზედ დასცქერის დანარჩენს მოსაზრებას და მეთაურობს სხვებს. პირველ შემთხვევაში ეს დედა-აზრიც საჭიროა, მაგრამ ის შეუძენია პოეტს

[1]) პლატონი მეგობარია, მაგრამ კეშმარიტება უფრო უმეტეს მეგობარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7 — $7^1/_2$ საათ.

Ვ. Მ. ᲛᲐᲮᲜᲘᲚᲐᲫᲔ — ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიგებათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

Მ. Ტ. ᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘᲪᲐᲫᲔ — 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთა „მასაჟს“, აუცრის ყვავილს ᲥᲛ გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დარეკტორი სამკურნალოსა დოკტორი მედიცინასა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მკურნალის

მიხეილ ვედენანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირის დღეების გარდა

ᲓᲘᲚᲘᲗ:

3. Ი. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ. — კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

Გ. Გ. ᲛᲐᲓᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — შინაგანი —9—10 საათ.

Ნ. Ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ — ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

Დ. Ჯ. ᲒᲐᲣᲓᲔᲚᲘᲜᲘ. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

Ა. Ნ. ᲨᲐᲗᲘᲚᲝᲕᲘ — თაკლისა 12—1 საათ.

Ვ. Ლ. ᲛᲐᲠᲐᲙᲔᲕᲘᲩᲘ — 12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

Ი. Დ. ᲑᲔᲖᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ — სიფილისისა, კანისა და სასქესოსა—$1^1/_2$—2 საათ.

Ვ. Ა. ᲕᲔᲓᲔᲜᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗᲘ:

Დ. Ა. ᲕᲔᲓᲔᲜᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი — მორიგებით.

ᲒᲣᲒᲐ, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სარგანაშვილისა, № 21 (ვარანტოგის ბაღლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი Გ. Ა. ᲕᲔᲓᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ტფილისი, 12 თებერვალი

ვინც თვალ-ყურს ადევნებს საგლეხო კანონების მოძრაობას, უეჭველია შეამჩნევდა, რომ ყველაზედ ნაკლებად ეს კანონები შემოშვებული. თითქმის ორმოცი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთში გადავარდა ბატონ-ყმობა და შემოღებულ იქმნა საგლეხო კანონმდებლობა. როგორც ჰხედავთ, დრო და ჟამი დიდმა გაიარა, მაგრამ მთავრობამ ვერ მოიცალა სრულიად და სავსებით თვალი გადაევლო საგლეხო კანონებისათვის, გამოეკლო რაც მეტი იყო, შეეცვლა და დაემატებინა, რაც დასამატი იყო. ცხოვრება თანდა-თან რთულდება, ახალი მოთხოვნილება გლეხის ცხოვრებაშიაც ბევრი აღმოჩნდა და ამისათვის ფრიად საჭირო იყო ასეთი გადახედვა და განხილვა. ამ გვარი კანონმდებლობითი მუშაობა უფრო იმიტომ იყო საჭირო, რომ 1861 წლისთვის აჩქარებით მოამზადეს საგლეხო კანონები და როგორც აჩქარებულს ნამუშევარს, ნაკლულევანება ბევრი დაჰყვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარება გლეხ-კაცობის ბედი და იღბალი, საგლეხო კანონების ძირითადს და არსებითს ნაკლულევანების შესწორებას სცდილობდა სხვა-და-სხვა საყოველთაო მიწერილობის შემწეობით და განმარტებით. ამის გამო პირვანდელ პატარა საგლეხო დებულებას ზედ დაერთო იმოდენა საყოველთაო მიწერილობანი და განმარტებანი, რომ თვით „მუხლნი“ კანონისა ძლივს-ღა ჰბეუტავს მათ შორის. სამინისტროს განმარტებას და მიწერილობათ მიემატა აგრეთვე უმართებელესის სენატის ბრძანებანი და ამ სახით უფრო გაძნელდა საგლეხო კანონების ცოდნა ზედ-მიწევნით და სარგებლობა. საგლეხო კანონები თუ წინად ერთს პატარა მცირე ტანის წიგნს წარმოადგენდა, დღეს ოთხ წიგნსა სჭარბობს, ასე რომ უბრალო მამაკაცი ვისთვის თითქმის მიუწვდენელია მისი შეგნება.

ასეთი ნაკლულევანება საგლეხო კანონებისა დიდი ხანია შეიგნო სამინისტრომ, მაგრამ ᲯᲘᲠ-ᲯᲘᲠᲝᲑᲘᲗ ვერ მოახერხა მისი სავსებით გადასინჯვა, სახელმწიფო საბჭოში შეტანა და კანონმდებლობითი კოლიფიკაცია. ამ ჟამად, მართალია, თვით მინისტრის თავმჯდომარეობით ᲰᲛᲔᲨᲝᲛᲑᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ კომისია, მაგრამ კომისია ვიწრო ფარგალშია ჩაყენებული და მხოლოდ საგლეხო კანონების ერთ მხარეს იხილავს და იკვლევს, სახელდობრ როგორ მოიწყოს საუკეთესოდ სოფლად სამსჯულო საქმე, არჩევნები მამასახლის მსაჯულებისა, წესი და რიგი ყრილობათა და სხვანი. ერთის სიტყვით იმას, რასაც სოფლის თვით-მართველობას ეძახიან. ისიც მართალია, რომ დღევანდელი თვით-მართველობა სოფლისა თვით-ნებობას უფრო წაგიგავს და, მაშასადამე, გაწესი-რიგება ეჭირვება, მაგრამ ასეთი კანტი-კუნტად გადასინჯვა დიდის საქმისა იმდენს სარგებლობას ვერ მოიტანს, რამოდენსაც მოიტანდა, სავსებით რომ შესდგომოდნენ საგლეხო კანონების ვანხილვას იმ აუცილებელის დედა-აზრის წინწამძღვარებით, რომ საპოლიციო მხარე საქმისა თვით მთავრობამ იკისროს და თავისისავე ხარჯით შეინახოს საპოლიციო მოხელენი, მხოლოდ სოფელს მიანდოს გამგეობა და გაძღოლა შინაურ და საეკონომიო საქმეებისა.

თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში სასურველად არ არის მოწყობილი გლეხთა საქმე და საგლეხო კანონი, ჩვენში ერთი ორად და სამად ეჭირვება დროზედ მიხედვა და პატრონობა. ადგილობრივი ვითარება ისეთია, რომ თავრობის დაუხმარებლივ საქმეს არაფერი ეშველება. ვისი ძალ-ღონით შეიძლება, მაგალითად, ბოლო მოეღოს და სამუდამოდ გადასწყდეს საძოვრის საქმე, ხიზნებისა, შეშა-ფიჩხის ხმარებისა, ვენახების გაყოფვისა და სხვა? ან ვინ დაუბრუნებს სოფელს თვის მიერ ამორჩეულ მამასახლისსა, თუ არ მთავრობა? საქმის ასე დაყენებას არ გვისაყვედურებს მხოლოდ ის, ვინც კარგად იცნობს სოფელსა და გაგონილით, ან სხვის ნათქვამით არ ხელმძღვანელობს მსჯელობის დროს.

ეხლანდელი მამასახლისი ვერ მამასახლისობს, ესე იგი, ვერ ახერხებს სოფელს უპატრონოს, რადგან ამისთვის არა სცალიან. იგი ფოსტის ცხენსავით დარბის ერთის სოფლიდგან მეორეში და მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულების მიერ გამოგზავნილ უწყებებს ატიგებს. იმას ნუღარ იტყვით, რომ მამასახლისი სიტყვის შეუბრუნებლად უნდა ასრულებდეს ბოქაულის ბრძანებას. მარტო ეს უწყებების ჩაბარების საქმე გაითვალისწინეთ და ადვილად მიხვდებით, რომ მამასახლისი ველარ მოიცლის სოფლისთვის. ჩვენში ბევრია ისისთანა სამამასახლისო, სადაც 20—25 სოფელი ითვლება. ითმდენა მანძილზედ მოდი და ატარე უწყებანი: მომრიგებელ შუამავლისა, საგუბერნიო სამგლეხო საკრებულოსი, მომრიგებელ მოსამართლისა, ოლქის სასამართლოსი, სამოსამართლო პალატისა, სატყეო და საექციზო გამგეობისა, საგუბერნიო მმართველობისა, სასამართლო ბოქაულისა და სხვა. ამას გარდა, რომელ უწყებასაც-კი დასჭირდება რომელისამე გლეხის დაბარება ან რისამე გამოცხადება, უეჭველად მამასახლისს უნდა მიჰმართოს. მაშ როდისღა უნდა აასრულოს ჩვენმა მამასახლისმა ის მოვალეობა, რომელიც საგლეხო კანონმა დაავალა? აკი ვერც ასრულებს, რადგან ამისათვის არც დრო აქვს და არც მოცალება.

საპოლიციო მოვალეობას, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაგრამ ასე თუ ისე უძღვება რუსეთის შიდა გუბერნიის მამასახლისი, რადგან იქაურს „ვოლოსტს“ მეტი ნივთიერი შეძლება და საღსარი აქვს. ჩვენში-კი ყოველად უმწეოა ამ მხრივ მამასახლისი, რომელიც ამის გამო უბრალო, დაბალ პოლიციის აგენტად, ანუ მოხელედ გარდაიქცა. მხოლოდ ინ საკვირველ.

რაკი ცხოვრების ვითარებამ ასეთს არა-სახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენებური მამასახლისი, ამისათვის ამ თანამდებობას ბევრი კაცი აღარ ეტანება. ხუმრობა კი არ არის ნამუსიანის კაცისათვის ის აზრი, რომ შენმა ღვიძლმა ძმამ და მშობელმა სოფელმა შენ მოგანდო თავისი ბედი და უბედობა! გულ-აცრუებით ის მოეკიდება სოფლის ნდობას, ვისაც სოფელი და ისი ბედი არად კბიტნავება. ამიტომაც მომეტებული ნაწილი ჩვენის მამასახლისებისა გაქცილი, გაცვეთილ და ვერაგ გლეხებისაგან შესდგება, ან ისეთები არიან, რომ სოფლისაკი არა, თავის-თავისაც არა გაეგებათ-რა.—

აღზრდის წყალობით, ან იმ სოციალურ წრის გავლენით, რომელშიაც იბადება და იზრდება მწერალი, მაგრამ ამ დედა აზრის გამოხატვა ძალდატანებული და შეუფერებლად წინგანზრახული არ არის. ასეა თუ ისე, დედა აზრის აუცილებლობა დიდად საჭიროა ყოველ რიგიან ნაწარმოებში, როგორიც უნდა იყოს იგი — პოეტური, ფილოსოფიური, თუ პუბლიცისტური, ოღონდ-კი ამ დედა აზრს და მის საფუძველს არ ეტყობოდეს ძალ-დატანება და ავტორის მეტად მგრძნობიარე პირადობა.

კიდეც ამისთვის არის საჭირო თავისუფალი, ძალ დაუტანებელი შემოქმედება ყოველ გვარ ნაწარმოებისა. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როდესაც ყოველი მწერალი, იმისდა მიუხედავად, პოეტია თუ რომანისტი, ფილოსოფოსი თუ პუბლიცისტი, დიდად განვითარებულია, ორამდე თუ არ ჩამორჩენია დროს, ორამდენ დროს წინ მიუძღვის და ხელთ წინსვლის დროზა მაგრად უჭირავს. ასეთი ვითარება ჰყოფს მხოლოდ შესაძლებელად გრძნობისა და აზროვნობის შეერთებას, რათა ნაწარმოები უფრო სრული და სანტერესო შეჰქმნან. ეს არის მიზეზი, რომ შექსპირი, გეტე წარმოადგენენ იდეალურ ტიპს პოეტისას, რადგან გრძნობათა და აზრთა სიდიადე თანაბრად განვითარებიათ. ეს არის მიზეზი, რომ რვა საუკუნე ვერ შეს ძლო „ვეფხის ტყაოსნის“ დახერხვა. ამ პოემაში გრძნობათა გამოხატვა და თვით აზროვნობა ისეა შეზავებული, ისე განუყოფელად მიმდინარეობს, როგორაც ზომიერება მოითხოვს. ბაირონი თუმცა დიდებული მსოფლიო პოეტია, მაგრამ იმდენად ვერა ჰმოქმედებს ადამიანზედ, თუმცა გრძნობების ზღვაა; იგი პირადობის, ინდივიდუალიზმის გამოდმერთებელი პოეტია. თუ ჩვენ ამ შემთხვევაში ბაირონის შესახებ ჩამოვაგდეთ ბაასი, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ამ პოეტში გრძნობანი სჭარბობს იმისსავე ფილოსოფიურ და სოციალურ შეხედულებას.

ცხადია, ზომიერება აუცილებელი საჭიროებაა ყოველის ნაწარმობის და ეს იქარის მხოლოდ შესაძლო, სადაც დიდი გრძნობა ᲥᲛ საფუძვლიანი აზროვნობა ძირად შეყრილან. მხოლოდ ასეთს ვითარებას შეუძლიან შეჰქმნას ნამდვილი პოეტური ნაბეი. კრიტიკულსა და ფილოსოფიურ წერილებში აზროვნობა ზმირად სჭარბობს; ოდონ�ᲞᲘᲠᲘᲗᲕᲘᲡ ᲖᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ, მაგრამ გრძნობასაც საპატიო ალაგი უნდა ეჭიროს, თუნდაც მარტო იმისთვის, რომ მეცნიერული აზრი უფრო მშვენიერი გარეგნობით შეიმოსოს, გრძნობის ძალდატანებით მეტი გამომეტყველება მიიღოს. ამისათვის რუსულს ლიტერატურაში მარტოვსა, ნ. მიხაილოვსკ-სა და იუჟაკოვს შორის ატარილი კამათი იმის შესახებ, თუ სოციოლოგიაში რომელი მეთოდი უნდა ჰმეფობდეს — სუბიექტიური თუ ობიექტიური — უსაფუძვლოთ უნდა მიგვაჩნდეს. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ გრძნობა და აზროვნობა დაცალკევებულნი არ უნდა იყვნენ, ისე არიან ორივენი შესისხლხორცებულნი თვისის წარმოშობით ფიზიოლოგიურ ნიადაგზედ. ამ ნაირად არ შეგვიძლიან აზროვნობას მეტი ალაგი დავუთმოთ კულტურის შექმნაში და გრძნობას-კი ნაკლები, ან, წინააღმდეგ, გრძნობას მეტი და აზროვნობას მცირე. ხშირად-კი მოხდება ხოლმე ერთი ამზადებს მეორესათვის ნიადაგს, მაგრამ როდესაც მეორე იჩენს მეტად თავს, პირველიც მონაწილეა, თუმცა ისე თვალ-საჩინო და დასანახავი არ არის.

ეს ასეა, თუ ჩავუფიქრდებით კაცობრიობის ისტორიას. საფრანგეთის რევოლიუცია, რომელიც გაშმაგებულ ენებათა და გრძნობათა საუცხოვო გამომხატველია, მომზადებული იყო დამᲯდარისა და აუჩქარებელის აზროვნობით, მაგრამ ამ აზროვნებაში გრძნობასაც ეპირა ალაგი იმდენად მაინც, რამდენადაც თვით რევოლიუციის დროს აზროვნობამაც ინინა თავი, მაგრამ მომეტებულმა ენებათა ღელვამ მისჩრდილა იგი. იდეალი-კი ყოველის მოკმედებისა, მწერლობაა იგი თუ სხვა, ის არის, რომ აზროვნობას გრძნობასთან შესაფერისი ალაგი უნდა ჰქონდეს დათმობილი, რადგან ორივე სულიერ ცხოვრების საუკეთესო შემადგენელი თვისებანია. ესენი ყოველ წარმოდგენის დაბადებაშიაც-კი, როგორც გვაჩვენებს ექსპერიმენტალური ფსიხოლოგია, ერთნაირად მონაწილენი და განუყოფელნი არიან. გრძნობისა, აზროვნობის ერთ-ერიგად და თანაბრად მომთავსებელი პოეტებად უნდა ჩავთვალოთ შექსპირი, გეტე. ამ პოეტების შესახებ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ობიექტიური პოეტები არიან. მაგრამ ამ აზრის წარმოთქმის დროს ცოტაოდენი ძალაუნებური შეცდომა შეგვეპარება. შექსპირი, გეტე რამდენადაც ობიექტიური, იმდენად სუბიექტიური პოეტებიც არიან. მხოლოდ მათში არ დაუშერია, როგორც საზოგადოდ არის, შესამჩნევი ალაგი სუბიექტიურს თვისებას. დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადოდ პატარა კაცს, პაწია ნიჭს უფრო მოეპარებითა აქვს სუბიექტიური თვისება, მომეტებული „მე“, თუმცა დიდად ნიჭიერს, მაგრამ ცალ-კერძო ბაირონსაც, რომელიც მგოსანია პირადობისა, ინდივიდუალიზმისა, ეს სუბიექტიური თვისება უმეწვერვალესად აქვს. მაგრამ იმ გვარ პოეტებს, როგორნიც არიან ბაიორონი და შელელი, რამდენადაც უნდა მეტად ჰქონდეთ გრძნობიერება, გადამეტებული „მე“, მაინც დიდს ძალას უპოვთო, სტიქიისებურ ძალას, რომელიც ძალიან მიმზიდველი, გამტაცებელი და მომᲯადოვებელი ძალაა. ამ ნაირივე განკერძოებული ერთმხრივი მიმართულება კი პატარა პოეტთა და მწერლისა არ არის მომხიბვლელი და გამტაცებელი. ამიტომ თუ საჭიროა დიდებულ პოეტსა და მწერალს უაღრესს წერტილამდე ᲰᲛᲜᲔᲚᲘ მიღწეული გრძნობა და აზროვნობა, თანასწორ შეერთებულ-შეფარდებული, უფრო საჭიროა პატარა მწერალთათვის ამ ორ თვისებათა შეთანხმება ჰარმონიულად, რადგან მათ არ მოეპოვებათ არც ერთი ისეთი ძალა, რომ მკითხველის მთელს ყურადღებას მიიპყრობდეს. ძალა-კი იყოს და თუნდა ერთმხრივი იყოს, მაინც სათაყვანოა.

ბუნება იდეალის შექმნაში ძლიერ ძუნწია და ადამიანის ადამიანობა ამ ძუნწობასთან ბრძოლაში უფრო იხატება. ადამიანის დიდი დანაშნულება შეავსოს ბუნების ნაკლი საუკეთესოდ წარმოდგენილ იდეალის შესაფერად. იშვიათად აᲯილდოებს ბუნება ერთსა და იმავე ადამიანს მდიდარის გრძნობითა და აზროვნობით; თუ ბუნება გაუჩენს ადამიანს მზადა-ყოფილს ნიადგს შემოქმედებითის ძალისათვის, სხვაფრივ თითონ მან უნდა იზრუნოს, თუ უნდა, რომ ყოველთვის სანტერესო და საგგებლის მომტანი იყოს. მწერალს თუ მართლა დაჰყვა ბუნებითვე ნამდვილი ნიჭი მწერლობითის შემოქმედებისა, მოვალეა საკმარისი ცოდნა თითონვე შეიძინოს და ეს ცოდნა და ნიჭი გამოიყენოს თვისდა და სხვის სასარგებლოდ.

შემოქმედება შემუშავება და გარდაკეთებაა უკვე შეთვისებულ იდეათა და აზრთა, მხოლოდ შემოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის სოფლის საპირ-ბოროტო საგანი მარტო მამასახლისების უვარგისობა არ არის. ასევე ცუდადაა მოწყობილი მართლ-მსაჯულების საქმე და სხვა მრავალი. თვით ადგილობრივი საგლეხო დებულობა,რომელიც მამულის მფლობელობას შეეხება, დაძველდა, სათავე დაერღვა ცხოვრების ახალის ვითარების წყალობით და შეკეთებას ჰსაჭიროებს.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, მინისტრის თავმჯდომარეობით დაარსებული კომისია განიხილავს მხოლოდ სოფლის თვით-მმართველობის საქმეს. საქართველოს გლეხკაცობისთვის ასე განხილვა საგლეხო კანონისა საკმარისი არ იქნება, რადგან ისეთი ძირითადი და არსებითი საგანი, როგორიცაა უფლება საძოვრით სარგებლობისა, ხელ-შეუხებელი დარჩება, მაგრამ ისიც საბედნიეროდ უნდა ჩავთვალოთ, თუ თვით-მმართველობა სოფლისა სწორ და ნამდვილს გზაზედ იქნება დაყენებული.

ჩვენ არ ვიცით, საგლეხო კანონის გადასინჯვას რა დედა-აზრს წაუმძღვარებს წინ სამინისტრო, ან შემდეგ სახელმწიფო საბჭო. უპირველეს ყოვლისა საჭიროა და აუცილებელი, რომ სოფლის თვით-მართველობას მოაშორონ თავიდგან საპოლიციო მოვალეობა და დაუტოვონ მხოლოდ თავისის სვე-ბედის გამგეობის უფლება. უამისოდ ყოველი ცდა უნაყოფო გამოვა. ულონო სოფელს არ შეუძლიან და გამოცდილებაც ამის მოწმეა, რომ ვერ იკისრებს ის გაკეთოს, რაც სახელმწიფოს მოვალეობაა. დარწმუნებული ვართ, რომ უკეთუ სოფლის თვით-მმართველობას მთავრობა საპოლიციო მოვალეობას მოაშორებს და მხოლოდ თავისს შინაურ საქმეებისათვის ზრუნვას დაუტოვებს, მაშინ ერთი ათად უკეთესად მოეწყობა სოფლის საქმე, ვიდრე ეხლაა. მაშინ სოფელს ექმნება დრო და შეძლება იზრუნოს თვისის როგორც სულიერ, აგრეთვე ნივთიერ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის.

ა. ფრონელი

ახალი ამბავი

*** დღეს, 13 თებერვალს, წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში მწირველი იქნება მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი. წირვაზედ იგალობებს ქართული საეკლესიო მგალობელთა გუნდი.

*** ამ უკანასკნელს დროს ტფილისის განყოფილებას სახელმწიფო საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკისას ბევრი თხოვნა მისდის თურმე ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან ადგილ-მამულების დაგირავებით სესხის გატანის შესახებ.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება მოხდება ხვალ, 14 თებერვალს. სხვათა შორის განსახილველი იქნება ხორცის ნიხრის შეცვლის საქმე.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით ქალაქის ბეითლები 10 თებერვლიდგან შეუდგენენ საკლავ საქონლის სათითაოდ შემოწმებას.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაერთავს მიღებულ იქმნას ტფილისის მიხეილის სამკურნალოს სასარგებლოდ ქვრივის ჟ. ლალაევისაგან 4,000 მან. შეწირულება ამ სამკურნალოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში ერთის საწოლის მისამატებლად.

*** ქალაქის საბჭოს კომისიას საპირიდან უცვნია ქალაქის ინჟენერთან ერთის ტეხნიკისა და ქალაქის მიწის-მზომელის თანაშემწის თანამდებობათა დაწესება. შემდეგ დაუდგენია მოგმატოს ქალაქის ნაწილის არხიტექტორებს ჯამაგირი 1,800-დგან 3,000 მანეთამდე, ხოლო ქალაქის ინჟენერს 4,800 მანეთამდე მოგმატოს ჯამაგირი.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს საზღვარ გარეთიდგან შემოიტანონ 20000 ამერიკული ვაზის ნერგი, პირველად ვაზები იქმნება დარგული აგაიანის სანერგეში, რის შემდეგაც ვაზს კარგად გასინჯავენ, რომ რაიმე ავადმყოფობა არ შეჰყვეს ნერგს, და მერე გაგზავნიან დანიშნულებისამებრ კახეთსა და შავი ზღვის ნაპირ ადგილებში საცდელად.

*** როგორც გვიგეთ იმ კომიტეტში, რომელსაც მინდობილი აქვს 1901 წლ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამართვის საქმე, მიუწვევიათ ტფილისის ქალაქის მოურავი.

*** რათა უფრო რიგიანად იქმნას მოწყობილი შავი-ზღვის პირის გუბერნიის მცხოვრებთა სამკურნალო შეშეფობის აღმოჩენის საქმე, შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ზოგიერთი ამ გუბერნიის სამკურნალო დაწესებულებანი ახალს ადგილებზედ იქმნას გადატანილი.

*** ტფილისის საკომერციო სასწავლებელში სწავლა დაიწყება მომავალ სექტემბრიდგან. ამ თვით გაიმართება უმცროსი მოსამზადებელი კლასები და უფროს კლასების განყოფილებანი. უფროსს განყოფილებაში მიიღები ეგზამენები დაიწყება ამ წლის აპრილის ბოლო რიცხვებში. ბავშვებს მიიღებენ უფროსს განყოფილებაში 9—11 წლის და პირველს კლასში კი 10—12 წლისას. სწავლის ფასი უმცროსს კლასში 80 მანეთია, უფროსს მოსამზადებელში 100 მან. და პირველს კლასში 120 მან.

*** ყვირილიდგან იტყობინებიან, რომ საქართის სანერგეში გასასყიდად დამზადებული დიდძალი ამერიკული ვაზი სულ გაყიდულა. საქმე ისე არის, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ იმდენად სასარგებლოდ უცვნიათ დამყნილ ვაზის გაყიდვა, რომ თითონ იძენენ სანერგეგდგან ამერიკულ ვაზის ნერგებს, მუნიან ადგილობრივს ვაზზს და ასე დამზადებულს კარგის მოგებით ჰყიდიან მსურველებზედ. წარსულს წელს ამ გვარად დამზადებული ვაზს ისეთი კარგის ღვინის მოსავალი ყოფილა, რომ ვისაც აქამდის სიზმრადაც არ ახსოვდა ასეთის ვაზის შეძენა, წელს თითონ ეტანება ამ რიგად მამულის გაშენებას, რომ ეგებ ცოტად მაინც მოუბრუნოს პირი ამ უკანასკნელ წლებში სხვა და სხვა ავადმყოფობისაგან დაცემულ ღვინის მოსავალს.

*** ტფილისის მაზრის, სოფელ თონეთის საზოგადოების მცხოვრებთ განუზრახავთ შეადგინონ სასოფლო თანხა, რომლიდანაც ხელი უნდა მოემართოს დროთა ვითარების გამო ვლებში ჩაცვენულ გლეხკაცობას.

ამავე საზოგადოებისათვის ადგილობრივ ბოქაულს ბ-ნს გეგუშვილს წინადადება მიუცია, რომ მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის გასაუმჯობესებლად სოფლელებმა გაიჩინონ საზოგადო სანიშეო ბაღი. სოფელელებს ამ ბაღისათვის უკვე მოუძებნიათ შესაფერი ადგილი. („ცნ. ფ.“).

*** ბეტერშეგრი. ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში სწავლა დაამთავრა და მკურნალობის დიპლომი მიიღო ორმა ქართველმა: თეთრაძემა და ჩაჩხიანმა, ხოლო კბილის ექიმობის დიპლომი მიიღო იმავე აკადემიაში ბ-ნმა ი. ახალშენიშვილმა.

*** რადგანაც „ისლის“ სიზოგადოების გადამდგ სენით აკადმოფ ბავშვთა სამკურნალო გაუქმდა, ქალაქის გამგეობაშ დაბარაკი აღუმართა იმის შესახებ, თუ სად ჩაბარდნან ის 1500 მანეთი, რომელიც ყოველ წლობით ეძლევა სიზოგადოებას ქალაქისაგან სამკურნალოს შესახებ.

*** ამ კომისიამ, რომელიც არეულ იქმნა წარსული წლის 27 დეკემბერს საკმაწვილო ყურნალ „ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ“-ს გაუმჯობესებისათვის თავისს ერთ-ერთ გრებზედ ყურნალის გასაუკეთესებლად ᲡᲘᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡ გასავრცელებლად გადაწყვეტა: 1) გამოიწეროს საუკეთესო სასავშო, საკმაწვილო და შედეგიანი ყურნალები რუსულ და სხვა ეროვნულ ენებზედ, რათა ქართველ მწერლებს მასწავლება თავიდი ᲐᲓᲔᲚᲘᲜᲘ თანამედროვე სასავშო და საკმაწვილო ლიტერატურის და უფრო შესაბამი ნაწერები მიაწოდონ ყურნალს. ამ ყურნალების გამოსაწერად ერთმა კომისიის წევრთაგანმა შემოსწერა ოთხი თუმანი; 2) კომისიამეც სასურველად დანახა, რომ ყურნალში იყოს ორი განცალკევებული განყოფილება—სასავშო და საკმაწვილო, რომელთაგან პირველი უნდა აბეჭდებოდეს მსხვილის სიტყვით, მეორე ᲬᲔᲠᲣᲚᲘᲗᲘᲗ; 3) ყურნალს მიეცეს ეროვნული სახითა: შაგ სხვათა შორის ᲫᲘᲠᲐᲜᲘ აბეჭდებოდეს საუკეთესო სახალხო ლექსები, შანაარსიანი სახალხო ზღაპრები, ლეგენდები და გადმოცემანი, მოთხრობანი საქართველოს ისტორიიდგან, გეოგრაფიული აღწერანი ჩვენის ქვეყნისა

მედეგბში ახალი არის თავისებური დაწყობა და დალაგება ამ იდეათა თვით ახალი ფორმა.

შემოქმედება არის ის მდგომარეობა, რომლის დროსაც ნიჭიერი ადამიანი მეტს გაცხოველებასა ჭგრძნობს აგებულებისას, საზოგადოდ ყოველი გრძნობა უფრო უმახვილდება, ყურებში თითქოს გაესმის რაღაც ჰარმონიული სიმღერა, რომელიც ხელს უწყობს აზრთა მომდინარეობას. ამ გვარი აღფრთოვანებული და აღტაცებული მდგომარეობა მოულოდნელად და ხშირად შეუნგენლადაც ჰქმნის ნიჭიერის ადამიანის ტვინში წარმოდგენათა ახალს კომბინაციას, ახალს სურათებას, რომლის შემადგენელი ნაწილები თუმცა მოიპოვებოდა წინად გონებაში, მაგრამ დაულაგებელი იყო და დღეს რაღაც მანქანებით მწყობრად დალაგებულა, გასულდგმულებულა. მაგრამ აზრთა და წარმოდგენათა ეს ახალი მოულოდნელი დალაგება რომ მოხდეს, საჭიროა, რომ წარმოდგენანი თავში მოიპოვებოდეს; საჭიროა მწერალმა კარგად იცოდეს ამ წარმოდგენათა თვისება, იცოდეს უკვე ცნობილი დასკვნა, განსაზოგადოება ფაქტებისა. ფაქტების და იმ დასკვნის ცოდნა, რომელიც შეესაძლოა თანამედროვე მეცნიერებისათვის, იმითია კარგი, რომ ადამიანი ამ შემთხვევაში უფრო ჩაფიქრებულია, უფრო ივიწყებს თავისს პირადობას. თვით იდეალური პოეტი გეტე ამბობს: თუ გინდა საქებელი გიგო რომელიმე ნაწარმოები, დაივიწყე დროებით შენი თავი და იცხოვრე იმ აზრითა და გრძნობით, რომლითაც სულდგმულობს ეს ნაწარმოებია. თუ მწერალი მხოლოდ თავისს თავისთვის ჰფიქრობს, წვრილმანი თავ-მოყვარეობა აქვს და ამავე დროს ცოდნით ღარიბია, ყოველთვის დაჰკარგავს თანასწორობას, ადვილად აჰყვება ვნებათა ღელვას და მშვიდობით მაშინ აზროვნობავ! ამისთანა მწერალი სამსახურს ვერ გაუწევს ვერც თავისს თავსა და ვერც სხვას; ამისთანა მწერალს საკმარისად ვერ გაიტაცებს ის საგანი, რომელიც მართლა საინტერესოა, და ვერ გამოარკვევს მას ვერც თავისთვისა და ვერც კეთილისათვის. მწერალს თავ-დავიწყებამდის უნდა უყვარდეს ის საგანი, რომელიც საინტერესოდ მიაჩნია საზოგადოებისათვის. ამ საგნის სიყვარული უნდა ავიწყებინებდეს მოსისხლეტერესაც კი და ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როდესაც მწერალს ნამდვილი შემოქმედებითი ნიჭი ეღვიძის და საკმარისადაც არის შეიარაღებული თანამედროვე მეცნიერებით.

ეს-კი იშვიათი მოვლენაა საზოგადოდ, და ჩვენში კი ხომ იშვიათზედ იშვიათია. საუბედუროდ რაკი ეკონომიურად გვკოტრდით, გონებრივი და ზნეობრივი კოტრობაც თითქოს სავალდებულოდ გავიხადეთ. თუ ისა გვგონია, რომ შეიძლება უმიწაწყლოდ ცხოვრებაო, ასე ადვილად ვეფიქრობთ, რომ საკმარისია წარსული მოვიგონოდ, მოვძებნოთ საგმირო ამ წარსულში და ეს საგმირო შევამკოთ და შევადიდოთ. ჩვენ გვგონია, რომ ევროპა რაღაც მასხარა გაჩენილა და ამისათვის მაინც და მაინც არ გვეხალისება ევროპიული კულტურა, და მრეწველობა, ვისურვებთ და ვიხარჩობთ ძველებურ წოდებრივს წუმპეში. წოდებრივს განხეთქილებაში, ისევ ძველებურად—ჩვენებურად ვადიდებთ მხოლოდ ფიზიკურ ძალას, „ხანჯლით ძლევა მოსილ ძალას“ და არა გვჯერა, რომ ეს ნაცარ-ქექიობაა. დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მესამოცე წლებისა თუ არა, მე-70—80 წლების ლიტერატურა ძლიერ შესცდა, ჩვენის წარსულის გმირულ ცხოვრების ქება-დიდებას რომ მოჰყვა, იმის მაგიერად, რომ ძლიერ დაეგმო ეა გაეკიცხა ჩვენის წარსული, ფეოდალურ ცხოვრების გამო წარმოშობილი და დღესაც ძლიერი წოდებრივი განხეთქილება და ეკვდაგნა ევროპიულ კულტურის ძლევა-მოსილება, რომელმაც არა ერთი მიძინებული ერი, თუნდაც ერთ დროს გმირული, დაამარცხა და სიცოცხლით სავსე და ერთობით გამსჭვალული-კი ფეხზედ დააყენა. ამ გონებრივმა და ზნეობრივმა კოტრობამ სლიერ მოიდგა და მოიმაგრა ფეხი როგორც ჩვენს საზოგადოებასა, ისე ლიტერატურაშიაც. ჩვენ ან მომტეხებულად ვეტრფოდ წარსულს და აწმყოს, მომტეხებულად გვიყვარს, საქმით თუ არა, სიტყვით მაინც; ან შეუგებლად უარ-ვყოფთ წარსულის კარგსაც და აწმყოს ცუდიც არ შეგვძულებია და კარგი არ შეგვყვარებია ნამდვილის სიყვარულით, რომ ეს აწმყო მაინც დაგვიყენებინა რიგიან გზაზედ, ან კიდევ ჩვენში შემოდის ლანდი რომელისმე ევროპიულ მცნებისა და ამ ლანდს ვეპოტენებით, დამახინჯებულ სახესა და გამომეტყველებას ვაძლევთ. ჩვენში შესაძლოა იყოს „მესამე დასი“, რომელიც ვერც ბევრს თვით ამ დასელებს და ვერც სხვას ვერ გაუგიათ, თუ არის „მესამე დასი“, მაშ ყოფილა პირველი, მეორე, შესაძლოა გაჩნდეს მეოთხეც. რა არის იმითი დამახასიათებელი, რა არის იმათი მისწრაფება, ეს ვერ გაგვიგია და თუ თქვენ გიგიეთ, მკითხველო, გაგვიზიარეთ.

რაც უნდა განცალკევებულს და განკერძოებულს აზრს ადგეს ვინმე, თუ ამ აზრს ნიადაგი აქვს ცხოვრებასა და მეცნიერებაში, რად უნდა უარყოს ვინმემ?! მაგრამ სავალდებულო არ მოგვეთხოვა მიმართულებაზედ დადგომის დროს საზოგადო მიმართულების გათვალისწინება და შეყვარება. განკერძოებული უკიდურესობა მტერია წინსვლისა, რადგან უკიდურესობაში ფანატიზმი ჰბუდობს. წარსულში უნდა გვიყვარდეს ის, რაც სასიქადულოა და აზროვნული ცხოვრების შედეგია და ამითი მერმისშიაც გამოსადეგია; აწმყოში უნდა გვიყვარდეს ის, რაც პროგრესიულია და სასარგებლო, წარსულთან შემაკავშირებელია. ამისათვის სასახელოდ მიგვაჩნია მესამოცე წლების კარგი ვიწამოთ, ცუდი ვგმოთ, აწმყოსი შევითვისოთ ისე, რაც ევროპიულმა ცხოვრებამ და მეცნიერებამ მიიღო საფუძლიან დასკვნად. მაგრამ ძნელი გასაგები-კია, როდესაც ამბობენ ჩვენში: ეს კაცი ამა-და-ამ დასს ეკუთვნის, ეს მესამოცე წლებსაო და სხვანი. თითქოს რომელისამე დასისაკენ მიკერძებით; მესამოცე წლების კუთვნილებით აღინიშნებოდეს ადამიანობა, თითქოს ყველასათვის არ იყოს საავალდებულო ის, რაც ზოგადი, სასარგებლო და აზრიანია.

ჩვენი ცხოვრება ესოდენ ცალმხრივი და უფერულია, რომ შესაძლოა იყოს ჩვენში ორ ნაირი მამართულება, ერთის ბოროტის ძალით შემოსილი, რეგრესიული, მეორე-კი პროგრესიული. ეს საზოგადო მოვლენა ყოველს საზოგადოებაში, რომელიც ჯერ უფრო მარტივი-პრიმიტიულია, რომელიც მხოლოდ თვისის პროგრესიულ წარმომადგენლების წყალობით ჰლანობს მხოლოდ კულტურულ ცხოვრებაში ჩარევას, მრავალ-მხრივობა მიმართულებისა, მრავალგვარ დასიანობა შედეგია მხოლოდ რთულის კულტურულ ცხოვრებისა, რომელშიაც მრეწველობის ტეხნიკურ განვითარებასთან ერთად ფრთა გაუშლია. ყოველივე ეს ნაყოფია ღრმა და დაუბრკოლებლად მიმდინარე განათლებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა და-სხვა კეთილებისა, დაწერილებითი აღწერანი სასდუხო დღესასწაულებისა და სხვანი; 4) წერილები ბუნების მეტყველებიდან უნდა აწერებოდეს უმთავრესად ადგილობრივ მცენარეების და ცხოველების შესახებ; 5) ახალდაბადეს კლასიკური ნაწარმოენი, სასაკუთრედ შეშუაკეებული და შემდეგ სასავალოდ გამოიცემოდეს; 6) ეკონომიაში ახმარებოდეს სახოგადო დიტერატურული ენა და ამისთან ხელ-უხლებლად ახალგებოდეს ცნობილ ქართველ მწერლების ნაწერები; 7) მოწვეული იქმნენ ეკლეს ქართველი სუკეთესო მწერლები თანამშრომლებად და 8) ეკონომიის გასაკრეფლებლად სახოგადოებაში კომისიამ ეფოდოს ეკლეს საქართველოს დიპ-ქადაქში საკუთარი აგენტები.

ამ პროგრამის განსახორციელებლად და რედაქტორის მამე ტეიერთის შეამსუბუქებლად კომისიამ საზეირად დანიშა ერთი თავისი წევრთაგანი, ბ-ნი ილია ალხაზიშვილი, დანიშნა თანარედაქტორად.

მეორე შენიშვნა.

ვისაც ჩვენი ლიტერატურის ზრდა-წარმატებისათვის თავ-ეული ედგენების, ვინც ჩვენი ცხოვრების ვითარებას ასე თუ ისე ოდნავ მაინც დაუფიქრებია, იგი უთუოდ ამ საშუალო მოვლენის შენიშვნავს, რომ ჩვენი სასაკუთა საკუთარ-ეული ლიტერატურა შეტად ღარბაა, და, დღემდის ამ მხრივ თუ რამ დაწერილა, ამისაც სულ ცოტა მეთოხეედი ჰეკეს. ეთანელ განთლებული ქვეყანაში საკუთარეული ლიტერატურის ზრდა-წარმატებას ერთი უმთავრესი ეკონომიკური ეფრდა აქვს მიქცეული. თავთეული შეგნებულ ოჯახის ბაბალოთეკას ეფრდა ბელ ეკონომიკებთ გამდარა საბაკეთოთ და საკუთარეთ ეკალმოკეთეული წიგნები. ისტორია, ეკონომია, ბუნების მეტყველება, მათემატიკა, ფიზიკა, შესანიშნავ ბერთა ბიოგრაფიები, ზღაბრები და ლეგენდები, კლასიკურ მწერალთა თხუზულებების მოკლე შინაარსი, ეთნოგრაფიული წერილები, ლექსების ალწერანი და სხვანი. ეი უმთავრესი შინაარსი ამ წიგნებისა, რომელიც თვითეული უცხოელის ოჯახის ბიბლიოთეკის ამშეენებენ. უმეწეალს ჯერ კიდევ სკოლის კარები არ უსახსნს, იგი ჯერ კიდევ მშობლის ოჯახს არ გასცილებია, მაგრამ მის ნორჩ ეონებს უკვე შეუთვისებია ზემოთ დასახელებული საბავშო ლიტერატურის სხვა-და-სხვა დარგებიდან შესაფერი ცნობები. ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ უმეწეალმა ჯერ კიდევ კითხვა არ იცის, მაგრამ მშობლის და ალმზრდელების დახმარებით იგი უკვე იცნობს საბავშო ლიტერატურას, მის ნორჩ ეონებს უკვე შეუთვისებია ის საკმარო ცნობები, რომელიც საკუთარეთ ლიტერატურას ამ ასაკში მეოთ უმეწეალებისათვის დაუმახავს. უმეწეალი საკმაოდ ოჯახიდან შედის სკოლაში საკმაოდ მომზადებული, განვითარებული და ამიტომაც გასაკვირეელი არ არის, რომ იგი საკმაოდ და უმაღლეს საკალეს შეგნებულად ეკითხებ, რას ეკმოიტ საკალეს დამთავრების შემდეგ ცხოვრების მეტ ბარგად არა ხდებ.

ჯერ კიდევ შორსაა ის საანტრალეი დრო, როდეს ქართველი ოჯახი ასე გაწესრიგდება, რომ ჩვენი უმეწეალები სკოლის კარს არ მიაწყდებიან უანგასკის ხელსამძღვანელოს თუთიეუნეთ გაზეთრებას ამბრა, ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როდეს ქართველი ბავშვი, ეტატოთ მაინც ეონიერეულად მომზადებული მიალწევს სკოლის კარებამდის, მაგრამ საკმაოთრო და საკალეთ აქ სულ სხვა, ეიხეკ თვეთ ის გარემობა, რომ უმეწეალებს ასე ღეთის ანაბარად გეშოლრებთ თავედგან.

თითო ოროლა საკალის გეფლის უმეტესეობამ პირეა მიაქცია განსაკუთრებითი ეურადღებაა ჩვენი ცხოვრების ასეთ გაჩასხარებას, სწორი და ჭეშმარიტი ეზის ასეეგეს, და გეფლოდგანეთ შეეფდეს საკმაეეთი ლიტერატურის საფეეე